# გაკვეთილის გეგმა

---------------------------------------------------------------------

**მასწავლელის სახელი, გვარი, პ/ნ** - სოფიო ფარულავა N39001013285
**საგანი** - ინგლისური ენა
**სწავლების საფეხური/კლასი** - IIIსაფეხური/ X კლასი
**გაკვეთილის თემა** - Before they were famous (and after!)-სანამ ისინი ცნობილები გახდებოდნენ (და შემდეგ!)
**გაკვეთილის მიზანია** - მოსწავლემ შეძლოს ცნობილი პიროვნებების მოღვაწეობის სფეროს დასახელება და ასევე ამოიცნოს მათი კარიერის ეტაპები „ქვიზში“ტექსტში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით; ამოიცნოს ტექსტში ხაზგასმული სიტყვები განმარტებებთან შესაბამისობით; უპასუხოს ტექსტის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს.

| N | აქტივობის აღწერა | გამოყენებული მეთოდი | კლასის ორგანიზების ფორმა | სასწავლო რესურსები | დრო (წთ) |
|---|---|---|---|---|---|
| | **გამოწვევის ფაზა** | | | | **7** |
| 1 | მასწავლებელი აცნობს მოწავლეებს გაკვეთილის მიზნებსა და შეფასების რუბრიკას. | ვერბალური ახსნა | მთელ კლასთან ერთად | გაკვეთილის მიზნები და შეფასების რუბრიკა Power point-ის ფორმატში. | 3წთ. |
| 2 | მასწავლებელი მოსწავლეებს აწყვილებს შემთხვევითობის პრინციპით და უსვამს მათ კითხვას. მათი აზრით, რას შეიძლება საქმიანობდნენ მსახიობები და მომღერლები სანამ ცნობილი ადამიანები გახდებოდნენ. უხსნის მათ, რომ კომპიუტერში ჩამოწერონ word-ის ფორმატში სავარაუდო პროფესიული საქმიანობების სიტყვების სია.<br>დავალების დასრულების შემდეგ თითოეული წყვილი კითხულობს ამ სიას. | კითხვა-პასუხი | წყვილებში | კითხვები word- ის ფორმატში. | 4წთ. |
| | **შინაარსის რეალიზება** | | | | **30** |
| 3 | მასწავლებელი მოსწავლეებს ელექტრონულად უგზავნის ტექსტს, სადაც მოცემულია სტატიიდან ამონარიდი ბრედ პიტისა და | კითხვა-პასუხი | მთელ კლასთან ერთად | ტექსტი Power point-ის ფორმატში; აუდიო | 7წთ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ჯენიფერ ჰადსონის ადრეული ცხოვრების შესახებ. მოსწავლეები ჩუმად კითხულობენ ტექსტს და ამავე დროს უსმენენ მას აუდიო მასალითაც. შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს არის თუ არა ის სიტყვები ტექსტში ნახსენები, რომლებიც მათ სიაში ჰქონდათ ჩამოწერილი. მოსწავლეები კი ასახელებენ. | | | მასალა Gateway _A2_Unit_7_p.93 | |
| 4 | მასწავლებელი მოსწავლეებს Power point-ის ფორმატში აძლევს დავალებას,სადაც მოცემულია ტექსტის ირგვლივ შედგენილი „ქვიზი“. მოსწავლეები ისევ კითხულობენ ტექსტს და იღებენ გადაწყვეტილებას თუ ვის ეკუთვნის „ქვიზში“ მოცემული ინფორმაცია ბრედ პიტს, ჯენიფერ ჰადსონს თუ ორივე მათგანს. BP-გულისხმობს ბრეტ პიტს, JH-ჯენიფერ ჰადსონს ან B-კი ორივე მათგანს.მასწავლებელი მოსწავლეთა პასუხების შემოწმების დროს იყენებს გამოსაკითხი ჩხირის ტექნიკას. | „ქვიზი“ | ინდივიდუალურად | „ქვიზი“-Power point-ის ფორმატში. | 8წთ. |
| 5 | მოსწავლეები ისევ კითხულობენ ტექსტს და ამჯერად იყენებენ ვენის დიაგრამას. ისინი ავსებენ სქემას რა მსგავსება განსხვავებები შეიძლება ჰქონდეთ ბრედ პიტსა და ჯენიფერ ჰადსონს. | ვენის დიაგრამა | წყვილებში | ვენის დიაგრამის Power point-ის ფორმატში შესრულება. | 10წთ. |
| 6 | მოსწავლეები ასრულებენ ტექსტში ხაზგასმული სიტყვების განმარტებებთან შესაბამისობას.დავალების პასუხებს ის მოსწავლეები კითხულობენ, რომლებსაც მასწავლებელი გამოსაკითხი ჩხირის საშუალებით გამოავლენს. | სიტყვების განმარტებებთან შესაბამისობა | ინდივიდუალურად | შესაბამისობის დავალება Power point-ის ფორმატში | 5წთ. |
| | რეფლექსია | | | | 8 |
| 7 | გააზრების, რეფლექსიის ეტაპზე მასწავლებელი წყვილებში უსვამს მოსწავლეებს ორი ღია ტიპის შეკითხვა. მაგ: არის თუ არა რაიმე ინფორმაცია ტექსტში, რამაც გააკვირვა ისინი და რატომ. იცნობენ თუ არა სხვა ცნობილ პიროვნებას, რომელსაც მსგავსი ცხოვრების ეტაპები ჰქონია.<br>წყვილი კითხვებზე ერთად მსჯელობს და შემდეგ ერთ ერთი მათგანი თავიანთ მოსაზრებებს ამ კითხვებთან დაკავშირებით მთელ კლასს გაუზიარებს. | კითხვა-პასუხი | წყვილებში | კითხვები Power point-ის ფორმატში | 5წთ. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 8 | მოსწავლეებს ვაფასებ წინასწარ შედგენილი შეფასების ცხრილით,რომელიც თან ერთვის გაკვეთილის გეგმას. მოსწავლეთა თვითშეფასებისათვის ვიყენებ ნიშნებს „V“, „X“ და „?“. თუ მოსწავლისათვის ყველაფერი გასაგებია ის აწევს მასწავლებლის დასანახად ნიშანს „V“,ხოლო თუ გაუგებარია, გამოიყენებენ ნიშანს„X“, კითხვების არსებობის შემთხვევაში კი აწევენ კითხვისნიშნიან ფურცელს „?“.<br>საშინაო დავალება - WB p:65 | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება, თვითშეფასება„V“, „X“ და „?“ ნიშნებით | ინდივიდუალურად | ანალიტიკური შეფასების რუბრიკა- Power point-ის ფორმატში; თვითშეფასების ბარათები. | 3წთ. |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები**

**ესგ სტანდარტი და ინდიკატორი: მიმართულება კითხვა**

**უცხ.ს.V.5. მოსწავლეს შეუძლია ბიოგრაფიის წაკითხვა და გაგება.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს პიროვნების მოღვაწეობის სფეროს, რომელშიც გაითქვა სახელი;
- ამოიცნობს კარიერის ეტაპებს;
- ტექსტში მოცემული ინფორმაციის (*საქმიანობის, ურთიერთობის, ქცევის*) გააზრების საფუძველზე ახასიათებს პიროვნებას.

**უცხ.ს.V.10. მოსწავლეს შეუძლია მიმართოს სხვადასხვა სტრატეგიას საკითხავი ამოცანების ეფექტურად გადაჭრის ხელშესაწყობად და კითხვის უნარის გასაუმჯობესებლად.**

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- დამოუკიდებლად ამოიცნობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობას ნაცნობი ელემენტების(*ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების და სხვა*)დახმარებით;

**შეფასება**

(მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები და /ან რუბრიკები)

**რუბრიკა**

**რეფლექსია**

**ხელმოწერა** **/სოფიო ფარულავა/**

**თარიღი: 24.06.18**